ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №103

ქ. თბილისი 24 დეკემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აპარატის უფროსის რევაზ გერგედავას სახით და მეორე მხრივ, სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) „მანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურები"-ს (CPV კოდი: 50112000) შესყიდვა ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1035 (ათას ოცდათხუთმეტი) ლარს.

2.2 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი შეადგენს დანართი N1-ის შესაბამისად

2.3 გასაწევი მომსახურების რაოდენობაა 1 ავტომანქანა. (ს/ნ "GGJ-279").

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 2 კმ.

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი: ჯ. ლეთოდიანი, ზ. გახარია, ა.გუნჯუა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისამებრ განახორციელოს საქონლის მიწოდება. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	შპს "ჰიუნდაი ავტო საქართველო"
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #16	მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ.
საიდენტიფიკაციო კოდი 249250484	საიდენტიფიკაციო კოდი 204478948
ხაზინა: [illegible]	სს "თი-ბი-სი ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორებითი ანგარიში	ა/ა № GE96TB0600000360200182
----------	----------
აპარატის უფროსი	დირექტორი
რევაზ გერგედავა	დავით გიორგობიანი